


ტელეპათიური
შეტყობინება მარადიული
მამისგან ხმელეთის
მსოფლიოს



ღვთიური მეცნიერება
აღფა და ომეგა



ტელეპათიური შეტყობინება
მარადიული მამისგან ხმელეთის
მსოფლიოს; მეორე შეტყობინება;
პირველი შეტყობინება დამალულ
იქნა მსოფლიოსთვის რელიგიური
კლდის საშუალებით.-

დიახ შვილებო; ყველა იბადება სიმართლის
საძიებლად; საუკუნეების განმავლობაში
ნანატრი გამოცხადება; შემოქმედი
იყენებს ცოცხალ დოქტრინებს მსოფლიოს
მომავლის შესაქმნელად; წარსულში
მან გამოგზავნა მოსეს კანონი; შემდეგ
მოვიდა ქრისტიანული დოქტრინა; მესამე,
რომელიც ახლათ ინიცირებული, არის
დოქტრინა ღვთის კრავისა; ეს დოქტრინა
მომავალში იწოდება როგორც ღვთიური

მეცნიერება; მისი საწყისი ბუნების იმავე
ელემენტებშია; ტელეპათიური საღვთო
წერილი არის კომუნიკაცია, რომელსაც
სამყაროს შემოქმედი იყენებს; ეს ყოველთვის
ასე იყო; წარსულში წინასწარმეტყველური
დოქტრინები ტელეპათიურად მიიღებოდა;
ყველაფერს აქვს საწყისი და არსებობის
მიზანი; ღვთის კრავის დოქტრინას არ
აქვს დასასრული; რადგან სამყაროს
არ აქვს იგი; ამავე მიზეზის გამო ის
გავრცელდება მთელს მსოფლიოში; ის
გადაითარგმნება მსოფლიოს ყველა ენაზე;
მისი გავლენა იმდენად დიდი იქნება,
რომ მაექსპლუატირებელ მატერიალიზმს
დასცემს; ახალი ზნეობა მოდის მსოფლიოში;
ზნეობა დაკავშირებული მშვიდობის
ათასწლეულთან; მარადიული მამის
დოქტრინები ყოველთვის გარდაქმნის
სამყაროს; ისევე, როგორც ეს შეემთხვა
დედამიწის წარსულს; ახალი გამოცხადება
მოითხოვეს ახლანდელმა სულიერებმა;
და ის მიიღეთ თქვენ; შენი არსებობის


ყოველი წამი იყო მოთხოვნილი და მოგენიჭა შენ; ახალი გამოცხადება გაგრძელებაა საღმრთო წერილისა; ახალი გამოცხადება არის გაგრძელება წმინდა წერილისა; ერთია - სწავლობდე წმინდა წერილს და მეორე - იყო რელიგიური; პირველი მარადიულია, რადგან შენი სული ყოველთვის ეძებს საკუთარ წარმოშობას; მეორე კი რწმენით ვაჭრობაა; რელიგიები არიან დამნაშავეები მსოფლიოს წინაშე; ღვთის კრავის დოქტრინაში; ეგრედ წოდებულმა რელიგიებმა დაანაწევრა რწმენა მსოფლიოში; მათ არ აქვთ ამის უფლება; მათ დაივიწყეს, რომ ღმერთი მხოლოდ ერთია; მხოლოდ ერთია სიმართლე; მხოლოდ სატანა ყოფს და იყოფს საკუთარ თავსაც; რელიგიური სულები იგივე ფარისევლები არიან რომანული ერიდან; მათ მოითხოვეს ღვთის ხელმეორედ დაბადება, რათა გამოესწორებინათ წარსული შეცდომები; და სამართალმა დაუთმო მათ; არ დაივიწყო, რომ ყველა რელიგიის მიმდევარი სული

განისჯება იმის მიხედვით თუ რა გზა
აირჩია; თქვენ, სულნო კლდეებისაო,
იგივე გააკეთეთ შორეულ სამყაროებში;
თქვენ დაყავით ფარა; თქვენ გააჩინეთ
სულიერი დაბნეულობა ქმნილებებში; თქვენ
გახადეთ ბევრი მცენარე მატერიალური;
და თქვენ გააკეთეთ იგივე დედამიწაზე;
სწორედ ამიტომ, თქვენ იქნებით ისინი,
ვინც პირველნი განისჯებიან; კანონის
დარღვევით თქვენ იგივე ანარქისტები
ხართ; და ბრძანებების ყველა დამრღვევი
იგივეა; შენ ამბობ წმინდა დედა ეკლესია
; მე კი გეუბნები რომ არავინაა ამქვეყნად
წმინდა;კაცობრიობას არ სჭირდება
ტიტულები, რომლებიც უცხოა ზეციურ
სამეფოში; ასევეა შენი მიკროსკოპული
პლანეტაც; მხოლოდ მამაღმერთმა და
რამდენიმე წინასწარმეტყველმა იციან
პლანეტა-მტვერი დედამიწად წოდებული;
ამის მიზეზი კი ის არის რომ მამა იეჰოვას
სამყაროს არ აქვს დასასრული; და თუ ვინმე
თვლის რომ დიდია - არ არის; შენთვის

დაიწერა სიტყვა პროსტიტუტი; რადგან შენ
ვაჭრობ ჩემი საღვთისმეტყველო კანონით;
ბრძემბი მიუძღვიან სხვა ბრძემბს; ვინც
გადაცემს შენს შეცდომებს სხვა ბრძემბს;
როცა ახალი დოქტრინა გავრცელდება,
თქვენ, ეგოისტო კლდეებო დაიყოფით;
სიტყვა კლდე არ გამოხატავს რაიმეს
მარადისობას; დედამიწა ახლობელია, მაგრამ
არა მარადიული; შენ ფიქრობ შენი ეკლესია
მარადიულია; მოვლენები რომლებიც
მოხდება გამოგიყვანს შეცდომებიდან;
მხოლოდ ტავმდაბლები მიაღწევენ
მარადისობას; და არა ისინი ვინც მორალს
კითხულობენ ამორალურად; როცა ჩემმა
პირველად დაბადებულმა ბიჭმა თქვა
დედამიწის წარსულში ; ამ კლდის მაღლა
ავღმართავ ტამარს, მან ასე თქვა, რადგან
ხედავდა კაცობრიობის მომავალს; მზის
სამება ყველგანაა; ის ასევე ყველა დროშია:
წარსულში, აწმყოსა და მომავალში; და რა
დაინახა მან? მან ყველა დანაშაული დაინახა;
მან დაინახა როგორ დევნიდი უდანაშაულო

ქმნილებებს; რადგან ისინი არ იზიარებდნენ
შენს იდეებს; მან დაინახა როგორ გაგზავნე
ისინი მონადირეებისკენ; მან დაინახა
როგორ დევნიდი დიდებულ მწერლებს;
მხოლოდ იმიტომ რომ მათ დაგანახეს
საკუტარი შეცდომები; მან დაინახა
როგორ დაადგი გვირგვინი ხმელეთის
მეფეს; იცოდე რომ მხოლოდ ერთი მეფეა
მეფეებისა; მარადიული მამალმერთი;
ის ერთი ვინც გვიბოძებს და გვართმევს
სიცოცხლეს; ტიტული მეფისა ღვთაებრივ
სამყაროში; დემონიო იწოდება როგორც
სულის მეფე; წინასწარმეტყველებს არ
უსწავლებიათ არაფერი მეფედ გახდომაზე;
მათ გვასწავლეს ჰუმანურობა ყველაფრის
მიმართ; მან დაინახა როგორ ლოცავდი
იმ მკლავებს რომლითაც მამალმერთის
შვილები ერთმანეთს კლავდნენ; იცოდეთ
დემონებო, რას ამბობს წინასწარმეტყველება:
არა კლა! ; მან დაინახა რწმენით ვაჭრობა;
მან დაინახა უკვდავება ყველა სულში;
უკეთესი იქნებოდა ისევ დაბადება არ

მოთხოვნილიყო, იგივე დანაშაულში
ჩავარდნამდე; შენი რელიგიები უცნობია
ზეციურ სამეფოში; და ყველა მორალი
რაც ყოფს მამის შვილებს ერთმანეთისგან
უცხოა ასევე; ერთადერთი ტაძარი რაც
სამეფოშია ცნობილი არის ტაძარი შრომისა;
ეს არსებული უძველესი მანდატია; სანამ
შენი მიკროსკოპული პლანეტა გაჩნდებოდა,
შრომა არსებობს სამყაროებში და იარსებებს;
შრომის ტაძარი არასდროს იქცევა
მტვრად; შენი მატერიალური ტაძრები
მტვრად იქცევიან; და ამით დასრულდება
მატერიალიზმის თაყვანისცემა პლანეტაზე;
თაყვანისცემა რომელიც აღარასდროს უნდა
ისწავლებოდეს; სწორედ ამ თაყვანისცემის
გამო, რომელიც ორპირობაში დევს, სამყაროს
წინსვლა შეაფერზე ოცი საუკუნით; მათი
მორალური და სპირიტუალური სიბრტყით.-



დიახ პატარა ბიჭო; ეს სამოთხის ნახატი
აღწერს რომ ყოველი სამართალი
წარმოიქმება ისევე როგორც არსებები
წარმოიშვებიან; ყველა ადამიანის სულმა
ნახა ეს სამართალი ზეციურ სამეფოში;
რადგან საკუთარი სამართლის ნახვა
შეუძლია ყველას; ყველაფერი არსებობს
ზეციურ სამეფოში; არავინ მოდის ბრმა ამ
ქვეყანაზე, როგორც სპირიტუალობა არის
დაინტერესებული; სამართალი
რეგულირდება შენი ქმედებებით; რადგან
ყველა შეპირებულია რომ მიიღებს საკუთარ
სამოთხეს; სამართალს საკუთარი კანონი აქვს
ახლანდელ ბრძანებებში; ის იგივე ჩხირია

რითაც გაიზომები; ყველა შენს იდეას
ქმედება აქვს; და ყველა ქმედება ფიზიკურია
და არსებობს სამეფოში; ქმედება განისჯება
როცა სული ჩადის დანაშაულს მისი
საშუალებით; ადამიანის სხეული მაგნიტური
კანონების ნაწარმია; მაკროსომებისგან
დამორჩილებული, და წოდებული როგორც
ღვთაებრივი კანონები; ის ვინც უარყოფს
მიკროსკოპულ წარმოშობას, უარყოფს
მამაღმერთს; ვისაც უნდა კარგი საკუთარი
შვილებისთვის; და ის ვინც უარყოფს
მამაღმერთს უარყოფს საკუთარ
მარადიულობას; რადგან ცაში კიტხულობენ
მათ აზრებს; და როცა ზეციური ქმნილებები
კიტხულობენ სულების აზრებს, ისინი ამით
განსჯიან; ვინც უარყოფს მამაღმერთს,
სამოთხე მათ უარყოფს და არ სეუშვებს;
რასაც მანდ დაბლა აკეთებ, ექნება შედეგი
მაღლა; და სადაც არ უნდა წავიდეს სული,
კანონი ერთია; ჩემი ბრძანებები იგივეა
დაბლაც და მაღლაც; მხოლოდ ფილოსოფია
იცვლება, რაც წამიერია; შენი სამართალი

არის და იქნება სულიერი; რაც
მატერიალურია არ დარჩება ცხოვრებაში;
შენს ცნობიერებაში; უნიკალური რეალობა
ყველა სულისა არის ის მარადისობა
რომელშიც ცხოვრობს; ის ისეთი
მოჩვენებითი არაა როგორც სხეულში
ყოფნისას; ხორცის სხეული რომელიც
მოთხოვნილ იქნა; და რომელიც მიენიჭა მას;
სხეულის თანხმობა ყველაფრის თანხმობა არ
არის; სხეული ცოცხალია, რომელმაც ასევე
ითხოვა გეომეტრიულობა; და ეს გაცხადდა;
მემკვიდრეობა ყველასთვის ერთია;
მატერიას და სულს ერთიდაიგივე უფლება
აქვთ; როგორც მოთხოვნილ იქნა; სულიერიდ
ა მატერიალური კანონები გაერთიანებულია;
ცნობილი ზეციურ სამეფოში, როგორც
დებულებების კიდობანი; რამეთუ სულის
მატერიალიზება შემტხვევითობით არ ხდება;
ის ხდება პასუხისმგებლობით;
საწინააღმდეგოს თქმა საკუთარი თავის
ძაგებაა; და ვინც საკუთარ თავს აძაგებს, ის
აძაგებს მამადმერთს; ვინც მასში იპოვება;

სად არ გისწავლია რომ შენი შემქმნელი ყველგანაა? რაშია წარმოუდგენლობა და წარმოდგენადობა? ჭეშმარიტად პიროსგან გაიგეთ ეს; და არა შენი ცოდნით; საკუტარი ძალისხმევით; ოფლში შენს სახეზე; საკუთარი დამსახურებით; ვინც ეძებს პოულობს; ის დაჯილდოვდება იმის მიხედვით, თუ რა ღვაწლი ჩადო ძიებაში; შენი არსებობის განმავლობაში ბევრი რამის მოძიება შეგიძლია; და თუ არ ეძიებ მამას, რომელმაც სიცოცხლე გიბოძა, შენ ვერ შეხვალ ზეციურ სამეფოში; უმადურები არასდროს შეიშვებიან; მხოლოდ თავმდაბალნი; ის ვინც გაიარა გამოცდა ცხოვრებაში; რადგან ეს გამოცდები იყო მოთხოვნილი თავად თავმდაბლების მიერ სამეფოდან; ყველა გადის გამოცდას ცხოვრებაში ყოველ წამს, ეს იყო მოთხოვნილი და მოგენიჭათ; თქვენი სიკვდილის ხასიათიც კი თქვენ მოითხოვეთ; და თქვენი გამოცდებით თქვენ ითხოვეთ შეგესრულებინათ უმაღლესი მორალობა,

მხოლოდ ის ერთი; რადგან მის გარეშე
ვერასდროს შეხვიდოდით ზეციურ
სამეფოში; და თქვენ მოითხოვეთ იგივე
მორალობა ესწავლებინათ დედამიწაზე; და
საღმრთო მცნებები გეხებოდა შენ; ისინი
როზგები არიან; მათი საშუალებით
განისჯები; და ასე იქნება პლანეტის
დასასრულამდე; ადამიანური სულები
ვერასდროს შემისწავლიან მე; ასევე, ჩემი
მორალის წესების გარეშე ცხოვრება
სიბნელეა; რადგან ვერასდროს შეხვალ იქ,
სადაც მამაა; ეს ისეთი უპრეცედენტოა როცა
შორს იქნები სინათლისგან, რომ შენ თავიდან
დაიბადები, რათა წაიკითხო რიცხვი
თავიდან; რაც არ არის შენი მიკროსკოპული
ევოლუცია; სამართალი რომელიც მოითხოვე
იწყება გონების მიკროსკოპული ნაწილაკით
რომელიც შეგიძლია აითვისო; ასე რომ,
რადგან ისინი პაწაწინანი არიან,
თავმდაბლები, არიან პირველები
ყველაფერში; პირველები ზეციურ სამეფოში
და ეს ღვთაებრივი სამართალია; პირველი

ღვთაებრივ მამა იეჰოვამდე; და ყველაზე
მცირედი რაც შენს გონებას შეუძლია
შეითვისოს; არის შენი იდეები; იგივე რასაც
დღის განმავლობაში ფიქრობ; იგივე რაც
მოითხოვე სამეფოში; იგივე რაც იგრძენი
მაგრამ არ დაგინახავს; ყველა შენი იდეა
მოგზაურობს კოსმოსამდე; მათ იგივე
უფლებები აქვთ რაც შენ; შენ მოითხოვე
დაბადებულიყავი რაიმე მიზეზით; ისინიც
ასე არიან; შენ მოითხოვე გეცხოვრე დროსა
და სივრცეში; შენმა იდეებმაც ითხოვეს; რაც
მალაა, იგივეა დაბლაც; მოტხოვნების
მემკვიდრეობა ერთია ყველაში; გიგანტური
არსებებიც ითხოვენ და პაწაწინა არსებებიც;
ცოცხალი მატერიებიც ითხოვენ და ცოცხალი
არარაობებიც ითხოვენ; და ყველაფერი
მონიჭებულია მამის მიერ; რადგან ის
უსასრულობაა; შენი აზრები კოსმოსში
მოგზაურობენ, თვალუწვდენელ
დაშორებაზე; დისტანციაზე, რომელსაც
ვერასდროს გამოითვლი; მხოლოდ მამამ
იცის; შენი აზრები იციან სამეფოში, როგორც

თესლი გალაქტიკისა; რამეთუ თქვენი
მსოფლიოები იზადებიან თქვენივე
სამოთხეებიდან; ეს ჩემს კეთილ ნებაში
ეწერა: ყოველი შექმნის საკუთარ სამოთხეს;
რადგან ყველა თქვენგანშია მამის
მიკროსკოპული მემკვიდრეობა; რაც მამას
აქვს, ის შვილებსაც აქვთ; ისევე როგორც ეს
ხდება ხმელეთის მშობლებში; მათი
მემკვიდრული თვისებები გადაეცემა
შთამომავლობას; რაც მალაა იგივეა დაბლა;
მემკვიდრეობა რაც მამამ მოგცა არის
უმანკოება და ფილოსოფიის არ ქონა; რადგან
შენი თავისუფალი ნებაა რას აირჩევ; და რაც
აირჩიე შენი დამსახურებით აირჩიე; რადგან
ყველაფერი სახეზე ოფლით მიიღწევა;
სულიერი ძალისხმევით; არაფერია მამის
ქმნილებებიდან ისეთი, რასაც ფასი არ აქვს;
ყველაფერი ღირებულია და იქნება
ღირებული; რადგან თითოეული ადამიანის
სულიერი ძალისხმევის გარეშე
შეუძლებელია ზეციურ სამეფოში შესვლა;
შენი სამყაროს კომფორტი არარაობაა

სამოთხეში; ყოველი კომფორტი რაც
გამოცადე სამყაროში არის ჯილდო; რადგან
ასეა დაწერილი: და მათ მიიღეს საკუთარი
ჯილდო; ყველა მატერიალურ გასართობს არ
აქვს დამსახურება სამოთხეში; სულ მცრე ამ
გასართობებს არანაირი საერთო არ აქვს
მამის მცნებებთან; ასეთ ფილოსოფიას
დღეები დათვლილი აქვს; რადგან
შემოქმედი გაძლევს და უკან მიაქვს; შენი
მატერიალისტური ფილოსოფია გაწყდება
გაფართოებისას; რადგან ყველაფერს
დასასრული აქვს; რადგან ყველაფერი მამის
მცნებებთანაა დაკავშირებული; კავშირები
რაც შენ მოგეთხოვება ცხოვრებისულ
გამოცდაში; შენი ცოხვრების დაცემა შენი
უღელის დაცემას უდრის; ეს
თავმდაბლობისთვის უდიდესი მოვლენა
იქნება; გამოყენებული და არაფრად
ცაგდებული; რადგან ყველა თანაბარია
ღვთის წინაშე; არავინ დაბადებულია
მდიდრად და არავინ დაბადებულია ღარიბად;
ასეთი მდგომარეობა ამბიციური სულების

მიერ შეიქმნა; ის ვინც მხოლოდ აწმყოთი ცხოვრობს; ყველაზე ჩამორჩენილი სულები ევოლუციაში; ამ მოჩვენებითი ხასიათის აზროვნებით მათ არაფერი გააკეთეს გარდა იმისა რომ დაიმონეს მსოფლიო; ყველა ამ დემონს თავად მსოფლიო განსჯის; რადგან არავის სურს საკუტარ სულზე მსჯავრის დადება; ღვთის კრავის დოქტრინის სინათლე გარდაქმნის მსოფლიოს; რადგან ასე დაიწერა ზეციურ სამეფოში; დედამიწის მსოფლიომ გააკეთა პირიქით რაც უნდა გაეკეთებინა; საუკუნეების განმავლობაში ჩემი ღვთაებრივი მცნებები ამბობდა ამას: თავმდაბლები ყველგან პირველები არიან, ყველაფერში; და რა უყავით ზეციურ მცნებებს თქვენ? ნუთუ თავმდაბლები არიან ყველაფერში პირველები და ისინი მართავენ მსოფლიოს? რა თქმა უნდა არა; რადგან ვხედავ ყველა თავმდაბალი დევნილია; მათ არ შეუძლიათ იყვნენ წევრები იმ უკვდავებისა რასაც მაღალ საზოგადოებას უწოდებთ; ვინ მოგცათ ასეთი საზოგადოების

შექმნის უფლება? ნუთუ ეს ჩემს მცნებებში
ეწერა? გეუბნებით დემონებო რომ ყოველი ხე
რომელიც შემოქმედს არ დაურგავს
მოითხრება ძირფესვიანად; აი როგორ იქნება
ევოლუცია; და ვინ შექმენი და ვინ გახადე
მეფედ? იცი რომ, მხოლოდ მამაა მეფეების
მეფე? და პატარა მეფე არ არის ამ
სამყაროდან; ის ეკუთვნის ზეციურ სამეფოს;
სატანა იწოდება მეფე-სულად; საღმრთო
მცნებები გვასწავლის ვიყოთ ყველაფერზე
თავმდაბლები; ისინი არ გასწავლიან რომ
აქციოთ საკუთარი თავი მეფედ; ამას
გეუბნებით თქვენ არისტოკრატო დემონებო;
რომ არცერთი არ შევა ზეციურ სამეფოში; და
თქვენთან ერთად არც თქვენი შვილები
მესამე თაობამდე; რადგან მამა იეჰოვას
ამჟამინდელ სამყაროში ყველაფერი
მემკვიდრეობით გადაეცემა; არავინ უნდა
იყოს ამაო თუნდაც დროის მიკორსკოპულ
მონაკვეთში; რადგან წამიერ დანაშაულსაც
შეუძლია არ შეგიშვას ზეციურ სამეფოში;
მსოფლიოს დაწყევლილო მეფეებო, თქვენი

უმანკო შთამომავლები გაგლანძრავენ;
რადგან თქვენს გამო ვერ შევლენ ზეციურ
სამეფოში; და მათთან ერთად ყველა კაცი თუ
ქალი რომელიც გეხმარებოდათ თქვენს
დაწყევლილ ფილოსოფიაში; არცერთი
არისტოკრატად წოდებული დემონი არ შევა
სამეფოში; რადგან სამეფოში ერთადერთი
დამსახურება შრომაა; უნივერსალური
ფილოსოფია; რადგან მამა იეჰოვას
ამჟამინდელ სამყაროში ყველაფერი
მემკვიდრეობითია; არავინ უნდა გაატაროს
ამაოდ თუნდაც დროის მიკროსკოპული
მონაკვეთი; რადგან წამიერ დანაშაულსაც
შეუძლია არ შეგიშვას ზეციურ სამეფოში;
მსოფლიოს დაწყევლილო მეფეებო, თქვენი
უმანკო შთამომავლები გაგლანძრავენ;
რადგან თქვენს გამო ვერ შევლენ ზეციურ
სამეფოში; და მათთან ერთად ყველა კაცი თუ
ქალი რომელიც გეხმარებოდათ თქვენს
დაწყევლილ ფილოსოფიაში; არცერთი
არისტოკრატად წოდებული დემონი არ შევა
სამეფოში; რადგან სამეფოში ერთადერთი

დამსახურება შრომას; უნივერსალური ფილოსოფია; მხოლოდ თავმდაბლობა და პატიოსნება მოითხოვება; ვინც იყვნენ და არიან მეფეები დედამიწაზე, საკუთარი ამპარტავნებით დაბრმავებული სულები არიან; მათ სულებს სხვა სულების გალაქტიკური გავლენა ეტყობათ; სადაც მხოლოდ მატერიალისტური ანათებს და არაფერი ინტელექტუალური; მათ ცხოვრებას სიბნელე ახლავს; და არ არსებობს დემონი რომელიც რომელიმე სამყაროში მეფე არ გამხდარა; ეს ფილოსოფია თავად სატანიუსულია; იმ მომენტიდან, როცა აჯანყდა; და მასთან ერთად აჯანყდა მთელი ლეგიონი; ყველა სულიერს მოტხოვეს გამხდარიყო ფარა მეფის მმართველობის ქვეშ, ეს ლეგიონი კი სატანას ეკუთვნის; რამეთუ შენ გამოხვედი სამოთხიდან და დემონიც წამოვიდა; სამოთხეში ყოფნისას, სულებმა დაიწყეს სხვა ქმნილებების განბაჟება; ისევე როგორც თქვენს შორის ხდება; რაც ზემოთაა, იგივე არის ქვემოთ;

სატანის იმიტატორები არიან რელიგიების მიმდევრები, მდიდრები, მეფეები და ისინი ვინც ძალადობის ფილოსოფიას ქმნიან; მაგრამ, არცერთი დემონი არ გადარჩება; მარადიული მამის ცოცხალი სიტყვა ყველაფერს განწმენდს; გარდაქმნის ყველაფერს; ისევე როგორც გარდაქმნა ძველი ქვეყნიერება მოსეს კანონით; შემდეგ კი, ქრისტიანული დოქტრინით; ახლა ამას აკეთებს ღვთის კრავის დოქტრინის საშუალებით; და არაფერია იმაზე ადვილი ქვეყნიერების შემოქმედისთვის, ვიდრე ცოცხალი სიტყვით ქვეყნის გარდაქმნა; იმავე სიტყვამ სამოთხისეულ ჟამში თქვა: დაე იყოს ნათელი და იქმნა ნათელი; იმავე სიტყვამ შექმნა წმინდა წერილები; იმავე სიტყვამ გამოსცა ბრძანებები; იგვე სიტყვა განგსჯის შენ უპირველესად ინტელექტუალური, ხოლო შემდგომ ფიზიკური კანონებით; რადგან ყველა სულმა მოთხოვა ასე; მათ მოიხტოვეს გაევილოთ გამოცდა წაბოლოო სამსჯავრომდე; მათ მოითხოვეს

გამოცდილიყვნენ სიცოცხლის ყველა
მომენტში; ჩემი წერილების
ინტერპრეტირების ჩათვლით; ყველაფერი,
აბსოლუტურად ყველაფერი შენ მოითხოვე;
თუნდაც მცირედი დეტალები ღვთის კრავის
მეცნირებაში; ეს იმას გაუწყევს რომ თუნდაც
შენთვის უხილავი კონტროლდება ზეციური
სამოფოდან; შენთვის ამოუცნობი
სენსაციები; სამართალია დადგენილი შენი
ფიქრებისთვის; შენი იდეებისთვის; შენი
მიზნებისთვის; შენ თვითონ მოითხოვე
ამგვარად ზეციური სამეფოდან; შენ ასევე
მოითხოვე დაგევიწყებინა შენი წარსული;
გზა თუ როგორ შეიქმენი; მაგრამ შენ
შეიტყობ ყველაფერს; რადგან შენ მოითხოვე
სინათლე საღვთო კრავისგან; შენ მოიტხოვე
ცოდნის კონსოლიდირება; შენ მოითხოვე
ახალი დოქტრინა; და შენ მოითხოვე
დოქტრინის მოსვლის მოულოდნელობა;
ღვთის კრავის დოქტრინა; ის დიდი ხნის წინ
უნდა ყოფილიყო ცნობილი; რელიგიური
კლდის მატერიალიზზმა და უნდობლობამ

დაგიმალა იგი; მათ აქვთ ცხვრის ტყავის
გრაგნილი; პირველი გრაგნილები, რაც მათ
მიიღეს ხელში; რადგან ისინი გამოიცადნენ;
ყველა სული გამოიცდება; ეს დემონები იმ
რწმენას ქადაგებენ, რისიც თავადაც არ
ჯერათ; მოითხოვეს, რომ პირველებს
ცოდნოდათ სიმართლე; და მიენიჭათ იგი
მათ; სიმაღლის დამალვის მიზეზი კი მათ
გულში გაღვივებული კლდისეული ისინი
ყველაზე მცირედ მორწმუნეები არიან; ისინი
მატერიალისტური აზრების გავლენის ქვეშ
არიან; ფარაონის შთამომავლობა; რომელიც
მიიღწვის სხვა ადამიანის განდიდებისკენ;
და გეუბნებით ტქვენ გაღმერთებულო
დემონებო, არცერთი შეხვალთ ზეციურ
სამეფოში; არცერთი ეგოისტი კლდე არ შევა;
შენ ამ თაობაშიც დაიწყევლები და მომავალი
შენი თაობებიც; თქვენ გამო დემონებო, ეს
ხალხი ვერ შევა სამოფში; რადგან ეს წამები
დანაშაულის პერიოდში ცხოვრებაა; რადგან
ერთ წამზე მცირე დროის დანაშაულიც
საკმარისია, რომ ვერ შეხვიდე ზეციურ

სამეფოში; და როცა სიმართლეს უმაღლავ
მსოფლიოს, შენ გადაახვევინე კაცობრიობას
სამეფოდან; რადგან შენ გაიმეორე
შეცდომები, შეცდომებში გატარებული დრო
იმდენად დიდია; დანაშაულის ყველა წამი
სამოთხეში არშემვება; ყველა თქვენგანმა
უნდა ითვალოს წამები, წუთები, საათები,
დღეები, კვირები, თვეები და წლები
ცხოვრებისა; და ყველა გამოთვლა უდნა
დაიწყოს თორმეტი წლის ასაკის შემდგომ; ამ
ასაკამდე; ყველა სული უცოდველია ღვთის
წინაშე; და ყველა ვინც ცუდად მოეპყრო ან
საქციელით, ან სიტყვით, ჩემს ქმნილებებს,
წამიერად თუ უფრო მცირე ხნით, ისინი ვერ
შევლენ სამეფოს სამოთხეში; რადგან სხვა
არსებებმა, რომლებსაც ცუდად მოეპყრნენ
იჩივლეს ამაზე ზეციურ სამეფოში; რადგან
ასეა დაწერილი: არ მოექცე სხვას ისე,
როგორც შენ არ გინდა მოგექცნენ; ამ
მიზეზით, არც მამა, არც დედა, არც
ნათლიები და არც კაცი თუ ქალი ვინც
მოვალე იყვნენ ბავშვებისადმი, ვერ შევლენ

ჩემს სამეფოში; მათი ბედი ჩემი განსჯის
საგანია; რადგან ყველა პატარა დიდია
ზეციურ სამეფოში; ხომ გასწავლეს, რომ
ყველა თავმდაბალი პირველი მამის წინაშე?
ეს ნიშნავს რომ მამა იეჰოვას წინაშე
ყველაფერი მიკროსკოპული პირველ რიგში
დგას; ამ მიზეზით შენი სული არ იქნება
პირველი ზეციურ სამეფოში; პირველები
არიან ისინი, ვინც იდევენდოდნენ
დედამიწაზე; თქვენს სულებს არ შეუძლიათ
მოითხოვონ, რომ იყვნენ რადგან თქვენ
მოგეთხოვათ ყოფილიყავით ტავმდაბალნი
ყველაფრის წინაშე; და ბოლოა ყოველთვის
თავმდაბალი; ის საკუთარ მნიშვნელოვნებას
ხაზს არ უსვამს; მართალს გეუბნები შენ, ის
ვინც საკუთარ სიცოცხლეს სხვისაზე
მნიშვნელოვნად თვლის, ვერ შევა ზეციურ
სამეფოში; თუნდაც ამ ფიქრს ერთი წამით ან
წუთით ჰქონოდა ადგილი; და ყველა
გარყვნილი ფიქრი რაც დროის ამ
მონაკვეთში გაგივლია ბგონებაში; ვერ
შევლენ ზეციურ სამეფოში; კაცობრიობა

დაეცა სიცრუსიდა და მიწიერების გამო,
რომლითაც განგმსჭვალათ კლდოვანი
რელიგიის ცრუ მორალმა; ეს პროსტიტუტი,
რომელიც საუკუნეების განმავლობაში
ვაჭრობს რწმენით; მისი საქციელი დორებით
ინტერესებსაა მორგებული; ის არ იღებს
სათვალავში თავმდაბლობას; თავმდაბალი
არასდროს მოექცევა ძვირფასეულობის
გარემოცვაში; ის თავს არ მოიტყუებს;
რადგან ყველათ გაიარა ის გაზა რომელსაც
გაივლიან დიდებულები; ყველა
მატერიალისტი დაცემული სულია;
რომელიც აშენებს მომავალს მიკროსკოპულ
აწმყოზე; მეტიც, ისინი უგულვებელყოფენ
სულის კანონებს; რაც ახასიათებს
ეგრეთწოდებულ პაპებს; პროსტიტუციის
მეთაურებს; ეს არსებები უცხო არიან
სამეფოში; რადგან არცერთი შესულა;
მხოლოს თავმდაბლები შევლენ; და ყველა
რელიგია ასევე უცხოა; და თუნდაც შენი
პლანეტა-მტვერი; ეს მარადიული კანონია;
ერთი მათგანის მიხედვით სამყარო

უსასრულოა; იმდენად უსასრულო რომ ყველა ფანტაზია მოდის რეალობაში; მეორე კანონი ისაა, რომ ყველა იქმნის საკუთარ სამოთხეს; და ეს არის გზა რომლითაც ეგრეთწოდებულმა პაპმა და მისმა მიმდევრებმა, ვინც შეითვისა მატერიალისტური ფილოსოფია, შექმნეს ამ ფილოსოფიით საკუთარი სამყარო; რადგან ყველა სამყარო შემოსაზღვრულია ზეცით; და ყველა ჩვენგანი იქმნის საკუთარ სამოთხეს; მატერიალიზმი არ არის მარადიული მამის მიერ დარგული ხე; და არ არის ცნობილი სამეფოში; არცერთი დოქტრინა არ არის ცნობილი, რომელიც არ იღებს სათვალავში თავმდაბლობის უპირატესობას, რადგან გეუბნები შენ მართალს, პლანეტა უნდა იმართებოდეს თავმდაბლების მიერ; რადგან ისინი არიან პირველნი სამეფოში; ისინი არიან პირველნი ზემოთ და უნდა იყვნენ ქვემოთაც; და ყველაფერი პირიქით ხდება; ეს ქვეყანა იმართება მათ მიერ, ვისაც არ უკითხავს ამაზე ნებართვა სამეფოში ; ბნელი

სულელები ბატონობენ შენზე; რადგან ისინი არ მოქმედებენ სინათლის სახელით; რადგან არ მახსენებენ მე თავიანთ სიტყვით გამოსვლაში; მათი მიზანი არ უკავშირდება შემოქმედს; ეს თვალთმაქცობაა; რომელიც წამიერად გასტანს და ვერ იქნება სამუდამო; მე ვკითხულობ მათ აზრებს; მე ვხედავ მათ გათვლებს; რადგან მე ყველგან ვარ; მე ვხედავ რომ მათ ბნელეთის სამყაროები შეიქმნეს; გეუბნებით თქვენ მართალს ამაყო ლიდერებო, ვერცერთი ვერ შეხვალთ სამეფოში; და ვერავინ შევა, ვინც სათვალავში არ მიიღო ჩემი ბრძანებები; თავმდაბალს რომ ემართა თავიდანვე ეს ქვეყანა, მე გარწმუნევთ რომ ქვეყნიერების განსჯის საჭიროება არ დადგებოდა; წესის დამრღვევების გამო გახდა განსჯა საჭირო; ვერცერთი დამრღვევი შევა ზეციურ სამეფოში; კანონი შენშია და შენ ხარ; ეს ყოველთვის ასე იყო; შენ მხოლოდ უდნა იფიქრო და შენითვე იქმნი განსჯას; მატერია და სული თავისი წესისამებრ ფიქრობენ;

რადგან არავისთვის ჩამოურთმევიათ;
ყველას თანაბარი უფლებები აქვს; არავინაა
უფრო მცირე მამის წინაშე; ეს უფლებები
მანიფესტირებულია ყველა წარმოდგენადი
ფორმით; ყველანაირი ოფრმა რასაც ხეავ და
მოითხოვე, შენი გამოთხოვილია; რადგან
პლანეტარულ სისტემაში მოსვლამდე იყო
ჩადებული ყველა ელემენტი ჩვენში
მომავალი გარემოს გათვალისწინებით; და
ყველაფერი რასაც შენი თვალები ახლა
ხედავს, შენ მოითხოვე ღვთის წინაშე;
სწორედ ამიტომ მამა იეჰოვას ამჟამინდელ
ქვეყნიერებაში მატრიასაც და სულსაც აქვს
განსჯის უფლება; მატერიასაც და სულსაც
აქვს თავისუფალი ნება; ერთმანეთისგან
დამპყვიდებლები არიან; ასე რომ არ
ყოფილიყო, სამართალი არ იქნებოდა
სრულყოფილი; და არ იქნებოდა
თანაბარუფლებიანობა განსჯის დროს; მამის
სამართალი ერთია და უსასრულოდ
მანიფესტირებული; რადგან მასში არსებული
არაფერია ლიმიტირებული; ყველანაირი

სამართალი წარმოიქმნება თავად ქმნილების ქმედებების მიხედვით; ეს ცხოვრების აზრია, რაც აძევს სამართალს აზრს; ცხოვრების მარილი იგივე ცოდნაა, არსებულ ცხოვრებაში; მისი თავისუფალი ნების გათვალისწინებით; სულები არ მიიღწვიან ცოდნის შეთვისებისკენ; ზოგი უფრო წინაა ვიდრე სხვები; ეს კანონი ხსნის ფიზიკურ არათანაბრობას თქვენზე; ყველა ცოდნა და ცხოვრების აზრი ცადებულია შენში; მაგრამ ყველაფერი ჩანასახის დონეზე; შენ იქმნი ცხოვრების ატრიბუტიკას და ცხოვრების წესს; თვისებებს, ზეციურ სამეფოში სულების იერარქია ამ თვისებების მიხედვითაა; ჰუმანურობას ყველაზე დიდი უპირატესობა ენიჭება; მას მოყვება შრომა და სიხარული; ღვთის სამეფოში ასეა დაკომპლექტებული კომუნიზმი; ღვთაებრივი კომუნიზმი ბავშვის ფილოსოფიით; ვისაც სიხარული არ გაუმრავლებია ცხოვრების განმავლობაში, ვერ შევა ზეციურ სამეფოში; ვერც ერთი

იდეოტური ხასიათის ვერ შევა; თუნდაც ეს
სისულელეა მისი ხასიათისა წამიერი
ყოფილიყო; ყველა თქვენგანმა დადო პირობა
რომ იქნებოდა მხიარული ცხოვრებაში;
მიბაძავდა სამოთხეს თავად; შენ დადე
პირობა რომ იქნებოდი მხიარული
ნებისმიერი სიტუაციის მიუხედავად; შენ არ
მოგიტხოვია იდეოტური ხასიათი; რადგან
იცოდი რომ ეს უცხო იყო სამეფოში; და ასევე
იცოდი რომ თუ გახდებოდი იდეოტი, ვერ
შეხვიდოდი სამეფოში; თუ არსებობის
განმავლობაში ხშირად ხარ გაბრაზებული, ეს
მხოლოდ იმიტომ რომ კაცობრიობამ აირჩია
ცხოვრების არასწორი წესი; და ამ სისტემის
შემქმნელებმა უდნა აგონ პასუხი რადგან მათ
მოითხოვეს ასე; და ასე მიეგებათ მათ; იგივე
ეხება დემონებს რომლებმაც შექმნეს
მაექსპლუატირებელი კაპიტალიზმი,
უზენაესი სამართლის მთელი სიმძიმე მათ
დააწვებათ; ამ დემონემა დაპირება მისცეს
მამას რომ პატივს სცემდნენ მის კანოპნებს;
და არ გახდებოდნენ ტირანები; რადგან იმ

სისტემას რომლის ძალისხმევა მხოლოდ კომფორტისკენაა მიმართული; უღელი დააწვება არსებობის ბოლოს; იმ დროისთვის როცა მოვა ახალი დრო; ახალი ავეყნიერება ახალი დროით; ახალი მორალი ახალი ბედისწერით; გასწავლათ ვინმემ, რომ შემოქმედი არაფერს განაახლებს ? ფინალური სამსჯავრო გაიმართება ღვთის კრავის დოქტრინის მიხედვით; მტკივნეული დასასრულია; რადგან მამის კანონების ყოველი დარღვევა იქნება განსჯილი; ისევე როგორც თქვენ გრძნობდით უსამართლობას ცხოვრებაში; უსამართლობას, რომელიც არ დაბადებულა მარადიული მამის მიერ და რომელიც უცხოა ზეციურ სამეფოში.-

დაწერილია ალფა და ომეგას მიერ.-



ინტელექტუალური სამსჯავრო ღვთის მიერ ამ
თაობისთვის

რა მოხდება.-

რა მოხდება, დამოკიდებულია თითოეულზე;
დაწერილია, რომ თითოეული განისჯება მისი
მოქმედების მიხედვით; მარადიული სამსჯავროს
იდეა ეხება თორმეტი წლის ზემოთ ადამიენებს
; მხოლოდ ბავშვები არიან ისინი ვისაც არ ეხება
სამსჯავრო; სამუდამო სამსჯავრო; გაიფიქრე
გაუთანაბრდება სამუდამო შედეგს; რომელიც
, იმის მიხედვით , თუ როგორ იქნა ნაფიქრი,
გაუტოლდება დანაკარგს ან შენაძენს სინათლისა; ის
იმ შემთხვევებისთვის, რომლებიც უსაზღვროა ღვთის
წინაშე; მიკროსკოპული გონებრივი ძალისხმევის
სანაცვლოდ უკვდავი მოგანიჭებთ სრულ არსებობას.-

ალფა და ომეგა



როგორ მოხდა, რომ ინიცირებულ იქნა დიდხანს ნანატრი განახლება?

როცა მარადიული მამის ემისარი ვიყავი პერუში, 1975 და 1978 წლებს შორის, მან მომიყვა საკუთარი გამოცდილების შესახებ განახლების ინიცირებაზე, ასევე ტელეპათიური შეკვეთები რაც მიიღო მარადიული მამისგან . მომდევნოა კასეტის

გაშიფვრა, ჩაწერილი ალფა და ომეგას
ემისართან ლიმაში.-

- ალფა და ომეგა: შეხედეთ, მე ვიყავი ისეთი
როგორც ყველა; მე ყოველთვის ისეთი
ვიყავი როგორც ნებისმიერი; უბრალოდ
მე ვასრულებს ბრძანებებს; მამამ ერთხელ
მიტხრა, მან ჩამაწერინა ერთი ბლოკნოტი,
რომელსაც ახლაც ვინახავ; მან გადმომცა
შეტყობინება, მან დამაწერინა; მე ახლაც
მახსოვს შინაარსი: შვილო, მისმინე, გსურს
ემსახურო ღმერთს თუ გააგრძელებ უვარგის
ცხოვრებას?; ეს არჩევანია, რადგან შენ
ითხოვე თავისუფალი ნება ცხოვრებაში,
როგორც ნებისმიერმა; მან სამი წუთი მომცა
საფიქრალად; ეს უნდა გაითვალისწინოთ...
მან მომცა საშუალება ამერჩია; შემდეგ მე
მივეცი პასუხი... მე ვაპირებდი მეპასუხა
ტელეპათიურად - არა შვილო, დაწერე,
როგორც მოითხოვე დაწერა; ყველა სესხაცია
მოთხოვნილია ღვთისადმი, შემდეგ მე
ვუპასუხე: მამაო იეჰოვა, მე მოგყვები
შენ, რადგან კაცთა შორის არაფერია

მარადიული, მე ვირჩევ რომ გავყვე მას, ვინც მარადიულია.-

- ძმა: თუმცა ერთი წუთით, არ იყავით პატარა იმჟამად?

- ალფა და ომეგა: დიახ, მე ვიყავი.-

- ძმა: შვიდი წლის ასაკის, და შეგემლოთ განსხვავების გარჩევა?

- ალფა და ომეგა: დიახ, დიახ; შემდეგ, იმ ბლოკნოტი ახლაც შენახულია და ის ფურცელი, წლების გამო გაყვითლებული, ყვიტელი; საჭიროა ცავდო ზარდახშაში, ის სადრაც აქაა; შემდეგ მამა მითხრა მე: დიახ შვილო, მე ვიცოდი ეს, მაგრამ შენ გამოცდა უნდა გაგევლო; მიუხედავად იმისა რომ მარადიულმა უწყის ეს , შენ უნდა გაიარო გამოცდა; თუ არ გაივლი გამოცდას, ვერ მიიღებ გამოცდილებას.-

- და: მაგრამ ტქვენ რომ აგირჩიათ სიურპრიზი არ იყო; როგორ გითხრათ... ასე მოულოდნელად აგირჩიათ თქვენ?

- ალფა და ომეგა: დიახ, მოგიყვებით, ყველაფერი რაც შეიძლება წარმოიდგინოთ,

მოთხოვნილია ღვთის მიერ, ისევე როგორც ყველა ჩვენგანი მოითხოვს რაღაცას, მე მოვითხოვე გამოვლენა, თითოეული მათგანი მოთხოვნილია მამის მიერ.-



ცხვრის გრაგნილი (აპოკალიფსი 5)

მარადიული მამა იეჰოვას ტელეპათიური
შეკვეთები.-

მომავალი გრაგნილების სათაურები.-

ღვთიური მეცნიერება

გამოცხადება გავრცელდება მთელს დედამიწაზე,
და გადაითარგმნება ყველა ენაზე დედამიწაზე;
და არ იქნება არცერთი განმმარტებელი რომელიც
არ მონაწილეობდა მასში...



გთხოვთ ეწვიეთ
<https://www.alfayomega.com/ka/>
და წაიკითხეთ რა მოხდება, ღვთიური
მეცნიერება და ღვთიური წარმოშობა
ვერცხლის ჭურჭლისა .

ცხვრის გრავნილი
(აპოკალიფსი 5)



<https://www.facebook.com/RevelacionAlfaOmega/>